

PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
27 თებერვალი, 2017 13:00 ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქეთი რეხვიაშვილს, USAID Zrda-ს საზოგადოებასთან
ურთიერთობის მენეჯერი
ტელეფონი: 032 222 7495
ელფოსტა: krekhiashvili@zrda.ge

USAID-ის პროექტ Zrda-ს და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლობა ტურიზმის სექტორის განვითარებისთვის

ბორჯომი, სასტუმრო Crowne Plaza – 2017 წლის 27 თებერვალს, USAID-ის პროექტ Zrda-ს ხელმძღვანელმა, ბრაიან კინგმა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩოგოვაძემ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, სადაც ორივე მხარემ გამოხატა თანამშრომლობის სურვილი.

პროექტ Zrda-სა და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ოფიციალურად ჩაუყრის საფუძველს ორ მხარეს შორის თანამშრომლობას, რაც უზრუნველყოფს ისეთი ორგანიზაციული ინსტრუმენტის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და პანკისის ხეობაში. აღნიშნული თანამშრომლობა სამცხე-ჯავახეთში მიზნად ისახავს რეგიონული განვითარების ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს აგრო-, ეკო-, სათავგადასავლო და კულტურულ ტურიზმზე, რათა უკეთ წარმოაჩინოს და პოპულარული გახადოს რეგიონი, როგორც საქართველოში ტურისტული დანიშნულების ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა დაეხმარება დაინტერესებულ რეგიონულ მხარეებს და თემებს ისარგებლონ საერთაშორისო დონეზე აღიარებული ელექტრონული მუსიკის ფესტივალთან (GEM Fest) დაკავშირებით განხორციელებული ახალი ინიციატივებით. ეს განსაკუთრებით შეეხება ანაკლია/განმუხურს. ზოგი საქმიანობა, როგორცაა მცირე ზომის სასტუმროებში მომსახურების მიმწოდებლების პოტენციალისა და შესაძლებლობების განვითარება და პროდუქტის მარკეტინგის გზების უზრუნველყოფა შესაძლოა გავრცელდეს შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და პანკისის ხეობაში.

USAID-ის პროექტი Zrda არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განხორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების

დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>